

კულტურის პოლიტიკა ტელემაუწყებლობაში (გასული საუკუნის ქართულ-  
პოლონური ურთიერთობის მაგალითზე)

ნარგიზა კანკია, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.03>

აბსტრაქტი

საქართველოს ტელევიზიის განვითარების პირველ პერიოდში, ეთერს ძირითადად ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრები იკავებდა. ეს განსაკუთრებით ეხება კინოხელოვნებას, რომლის ფუნქციები ტელეეკრანზე კიდევ უფრო იზრდება...

ქართულ ტელემაუწყებლობაში მალე შეიქმნა კინოგადაცემათა ისეთი რუბრიკები, სადაც გვაცნობდნენ საზღვარგარეთის (ძირითადად სოციალისტური ქვეყნების) კინემატოგრაფს.

საქართველოს ტელევიზორებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პოლონეთის კულტურას.

პოლონეთი იყო ერთ-ერთი ის ქვეყანა, სადაც პრესტიჟული პრიზებით დააჯილდოვეს ის ტელეფილმები, რომელთა შექმნასაც ბევრი პრობლემა შეექმნა.

1960-იანი წლების ბოლოს, პირველად რუსეთის ცენტრალური ტელევიზიით გახდა შესაძლებელი ქართველ ტელემაყურებელს ეხილა ორი პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი - „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ და „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. ორივე მათგანი მეორე მსოფლიო ომის თემაზეა გადაღებული და ისინი აშკარა პროპაგანდისტული ხასიათისაა, მაგრამ მათი პოპულარობა საქართველოში მაინც დიდი იყო. აუდიტორიის მოთხოვნით, წლების შემდეგ, ორივე ფილმი ქართულ ენაზეც იხილა ტელემაყურებელმა.

1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე, ეთერი ძირითადად სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს ეთმობოდათ. ე.წ. „გარდაქმნის წლებიდან“ საქართველოს ტელევიზიაში ბევრი რამ შეიცვალა...

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ურთიერთობა, სატელევიზიო ფილმი, მაუწყებლობა, კინემატოგრაფი

### **Abstract**

Nargiza Kankia, Associate Professor

David Aghmashenebeli University of Georgia,

#### **Politics of Culture in TV Broadcasting (Based on the Example of Georgian-Polish Relations in the Last Century)**

In the early stages of Georgian television development, the majority of airtime was dedicated to works from various fields of literature and the arts. This was particularly true for cinema, the role of which on television became even more prominent...

Soon after, film segments were introduced in Georgian broadcasting, which introduced viewers to foreign cinematography, primarily from socialist countries.

Polish culture occupied a significant place in the Georgian television space.

Poland was one of the countries where Georgian television films were awarded prestigious prizes, and many of these films were produced under challenging circumstances.

At the end of the 1960s, for the first time, Georgian viewers had the opportunity to watch two Polish multi-episode television films on Russian Central Television: “Four Tank-Men and a Dog” and “The Goal that is Greater Than Life”. Both were set during World War II and had a

clear propagandist tone, yet they were very popular in Georgia. Due to audience demand, both films were later broadcast in the Georgian language.

Until the second half of the 1980s, airtime was mainly devoted to programming from socialist countries. Many changes occurred on Georgian television during the so-called “Perestroika” years...

**Keywords: culture, relationship, television film, broadcasting, cinematography.**

ტელევიზიას სხვადასხვა ფუნქციის შესრულება უწევს - საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო, გასართობი, იდეოლოგიური (პროპაგანდისტული), ინტეგრაციული, რეკრეაციული, და სხვ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ სატელევიზიო გადაცემა, შესაძლებელია, ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებდეს. კონკრეტული ფუნქციის აქტუალურობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაზე და პერიოდზეა საუბარი.

ტელემაუწყებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ინტეგრაციული (გამაერთიანებელი, მაკონსოლიდირებელი) ფუნქცია. ის შეიძლება განხორციელდეს ტელემაუწყებლობის ყველა სახით და ჟანრით. მეტიც, ამ ფუნქციის შესრულება პოლიტიკურ გადაცემებზე უკეთ და ეფექტურად, ზოგჯერ შემეცნებითი და გასართობი გადაცემებითაა შესაძლებელი.

ამ სტატიაში ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ახერხებდა გასულ საუკუნეში საქართველოს ტელევიზია კულტურული ( და არა მარტო) ურთიერთობების დამყარებას სხვა ქვეყნებთან. უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების სფეროს წარმოადგენს საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებული კავშირების შესწავლა, რომელიც ხორციელდებოდა კინემატოგრაფის (მათ შორის, სატელევიზიო ფილმის) მეშვეობით.

დავიწყით იმით, რომ თავისი განვითარების პირველ პერიოდში, საქართველოს ტელემაუწყებლობა ფუნქციონირებდა უმრავლესობას (პირველი გადაცემა 1956წ. 30 დეკემბერს გავიდა ეთერში.) დიდწილად სწორედ ხელოვნების მეშვეობით ასრულებდა, რადგან თვითონ ტელევიზია ძირითადად კულტურით საზრდოობდა - ეთერს თითქმის მთლიანად ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრები იკავებდა. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა - ეს, პირველ რიგში, გამოწვეული იყო ტელეკომუნიკაციების განვითარებლობით და ამ პერიოდში არსებული ცენზურით.

ქართული ტელევიზია ამ დროს ხელოვნების დარგების და, განსაკუთრებით, კინოს ტირაჟირებისა და პოპულარიზაციის საშუალებად მოგვევლინა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ კინემატოგრაფი იმ პერიოდში დიდი იდეოლოგიური თვისებების მატარებელი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, ტელევიზიის სპეციფიკის გამო (განსაკუთრებით გამოვყოფთ ტელემაუწყებლობის ყველგან შეღწევადობის, პერსონიფიცირების, პროგრამულობის თვისებებს), ტელეეკრანზე მოხვედრილი ფილმის იდეოლოგიური ფუნქცია მნიშვნელოვნად იზრდება, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ როგორ იყენებდნენ მას საბჭოთა პერიოდში სასურველი მიზნის მისაღწევად.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტელევიზიის განვითარების პირველ პერიოდში, კულტურული ცხოვრების გაშუქებისას, ქართველი ხელოვანებისა და მწერლების შემოქმედების გარდა, სოციალისტური ქვეყნებში მიმდინარე კულტურულ მოვლენებსაც არ ივიწყებდნენ. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ტელესტუდიის ინტერესის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პოლონეთის კულტურას. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1959 წლის ოქტომბერში საქართველოს ტელევიზიამ „პოლონეთის კულტურის კვირეულში“ დიდი დრო დაუთმო ამ ქვეყნის კულტურულ მოვლენებს. (ფოლკლორი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება... და ცხადია, პოლონური კინემატოგრაფი) .

საქართველოს ტელევიზიაში სოციალისტურ ქვეყნებზე და მის კულტურაზე მრავალ გადაცემაში იყო საუბარი. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ აქ მალე შეიქმნა კინოგადაცემათა ისეთი რუბრიკები, სადაც საბჭოთა კინოხელოვნების ნიმუშებთან

ერთად, გვაცნობდნენ საზღვარგარეთის (ძირითადად სოციალისტური ქვეყნების) კინემატოგრაფს. მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა კინოგადაცემები: „მომხე სოციალისტური ქვეყნების კინოხელოვნება“ „საზღვარგარეთის კინოს ოსტატები“, „მსოფლიო კინოს ოსტატები“ და სხვ., სადაც პოლონურ კინოსა და კინემატოგრაფისტებს არაერთხელ დაუთმეს ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა სატელევიზიო ფილმმაც (სატელევიზიო ფილმების სტუდია საქართველოში ოფიციალურად გაფორმდა 1969 წლიდან) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის პოლონეთთან კულტურული ინტეგრაციის საქმეში - რამდენიმე მათგანის სახელი გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და პოლონეთი იყო ერთ-ერთი ის ქვეყანა, სადაც ეს ფილმები დააჯილდოვეს. მაგალითად, მიხეილ კობახიძის სადიპლომო ნამუშევარი „ქორწილი“ (1964). ამ ფილმმა სხვადასხვა საერთაშორისო პრიზებს შორის (ობერჰაუზენში, კანში, ბუენოს აირესში), 1966 წელს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში მოკლემეტრაჟიანი ფილმების III საერთაშორისო ფესტივალის დიპლომი დაიმსახურა.

სხვათა შორის, ამ ფილმის შექმნას ბევრი პრობლემა ახლდა და რომ არა ტელევიზიის მაშინდელი ხელმძღვანელების მოხერხებულობა (ფილმი კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივ ნაწარმოებად წარადგინეს), „ქორწილი“ დღის შუქს ვერ იხილავდა.

უფრო გვიან- 1985 წელს- შეიქმნა რეჟისორ ალექო ცაბაძის ფილმი „ლაქა“, რომელსაც ასევე მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა ცენზურის მხრიდან. პრობლემების მიუხედავად, ფილმი მაინც გადაიღეს და „ლაქამაც“ საერთაშორისო კინოფესტივალებზე მნიშვნელოვანი პრიზებიც მიიღო: „ორი წლის შემდეგ, 1987წელს, ქ. მინსკში სატელევიზიო ფილმების XII საკავშირო ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი და პრემია დაიმსახურა. იმავე წელს ფილმმა XI საერთაშორისო კინოფესტივალზე (ქ. ლოკარნო, შვეიცარია) მოიპოვა ვერცხლის პრიზი „ლეოპარდის ვერცხლის თვალი“ და XIV საერთაშორისო კინოფესტივალის „ახალგაზრდობა და ფილმები“ ( ქ. კოშალინი, პოლონეთი) პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის.“ (ელდარ იბერი, საქართველოს ტელევიზიის ისტორია, 2016, გვ.105).

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს ტელევიზიას უკვე ეწოდებოდა რუსეთის ტელეპროგრამებიც და ასევე, საბჭოთა კავშირში 1961 წლიდან საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ქვეყნების გადაცემების ურთიერთ გაცვლას. მოხდა დაკავშირება ინტერვიზიასა და ევროვიზიასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

1969 წელს პირველად სწორედ რუსეთის ცენტრალური ტელევიზიით გახდა შესაძლებელი ქართველ ტელემყურებელს ეხილა პოლონური მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი.“ ეს ფილმი სამი ნაწილისგან შედგება და პოლონეთში მისი დემონსტრირება მოხდა სხვადასხვა დროს: პირველი სეზონი - 1966 წელს, მეორე ნაწილი - 1969 წელს და მე-3 ნაწილი - 1970 წელს. სერიალში მოქმედება ვითარდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. როგორც ფილმის სათაურიდანაც ჩანს, მთავარი გმირები ტანკისტები არიან. (ტანკი სახელად „წითური“) აქედან სამი პოლონელია, მეოთხე კი ქართველი გეორგია. ეს ახალგაზრდა ბიჭები უშიშარი, გაბედული მებრძოლები არიან. ფილმში, მეტი ინტერესისთვის, მათი სასიყვარულო ისტორიებიც არის ნაჩვენები. ამ სერიალში ძაღლი სახელად „შარიკი“ მუდამ სასწაულ გმირობებს ჩადის.

„ოთხი ტანკისტი და ძაღლი“, ცხადია, დიდი პროპაგანდისტული დატვირთვის მატარებელია - მაშინ, როდესაც ტანკის ეკიპაჟის ყველა ბიჭი მოხერხებული, კეთილი და უშიშარია, გერმანელები, გარდა იმისა, რომ სასტიკები არიან, სულელებად და მოუქნელებად გამოიყურებიან.

პოლონეთში „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ ძალიან პოპულარული იყო და მას 1989 წლამდე (საბჭოთა კავშირის გავლენიდან გამოსვლამდე), ყოველწლიურად აჩვენებდნენ. შემდეგ, პოლონელმა ნაციონალისტებმა მისი ტელევიზიით ჩვენების აკრძალვა მოითხოვეს, რადგან ის საბჭოთა პროპაგანდის საშუალებად მიიჩნეოდა.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სატელევიზიო ფილმი ჩვენმა მაყურებელმა პირველად ცენტრალური ტელევიზიით იხილა, ამ ფილმისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და სიყვარულს ჩვენს ქვეყანაში განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი გმირი ქართველი იყო. თანაც, ეს ახალგაზრდა ლამაზი გარეგნობის, უშიშარი ვაჟკაცი იყო, რომლის ფარული სიყვარულის ისტორია (მისი რჩეული კი არის სატანკო ბრიგადის რადისტი - ლიდკა) მაყურებელთა გულშემატკივრობასა და

თანადგომას იწვევდა. სხვათა შორის, როგორც ამბობდნენ, ამ ფილმს პოლონელი ხალხი ხშირად ეძახდა არა „ოთხ ტანკისტა და ძაღლს“ არამედ „სამ პოლონელს, ერთ ქართველს და ძაღლს“

საბჭოთა კავშირში, და მათ შორის საქართველოშიც, ძალიან პოპულარული იყო ასევე მეორე პოლონური მრავალსერიანი მხატვრული ფილმი - „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (1967-68). ისიც მეორე მსოფლიო ომის თემაზეა გადაღებული და აქაც პოლონელი მზვერავი (მთავარი როლის შემსრულებელია სტანისლავ მიკულსკი) ნამდვილი „სუპერგმირია“ - ის იმდენად გონიერი და ძლიერია, რომ სამხედრო ინფორმაციასაც ადვილად მოიპოვებს და მოწინააღმდეგეებსაც ყოველთვის ასწრებს იარაღის გამოყენებას.

„მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“, ცხადია, ჯერ მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიით იხილა ქართველმა მაყურებელმა, მაგრამ აუდიტორიის მოთხოვნით, ქართულადაც ითარგმნა და დაახლოებით 10 წლის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა ჩვენი ქვეყნის სატელევიზიო ეკრანებზე.

საქართველოს ტელევიზიაში ზოგადად, საზღვარგარეთული კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებსაც იწვევდნენ. თუმცა, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე ეკრანი ძირითადად სოციალისტური ქვეყნების შემოქმედებას ეთმობოდა. ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც საქართველოს ტელევიზიის დაარსების მე-20 წლისთავთან დაკავშირებით ვიხილეთ, იყო პოლონელი მსახიობი - ბარბარა ბრილსკა (გადაცემას უძღვებოდა ლია მიქაძე), რომელიც საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მან მთავარი როლი შეასრულა ელდარ რიაზანოვის კომედიაში „ბედის ირონია, ან გაამოთ“, რომელიც 1975 წელს არის გადაღებული - ე.ი. ამ ინტერვიუდან სულ ერთი წლის წინ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მსახიობი ქართველ კინოაუდიტორიას ნანახი ჰყავდა გერმანულ ვესტერნებში „შევარდენის კვალი“ (1968) და „თეთრი მგლები“ (1969), სადაც ის თამაშობდა ძალიან პოპულარულ იუგოსლავიელ მსახიობთან- გოიკო მიტიჩთან ერთად.

ე.წ. „გარდაქმნის წლებიდან“ კი საქართველოს ტელევიზიაში ბევრი რამ შეიცვალა - ახლა უკვე ეთერში სასაუბროდ იწვევდნენ საზღვარგარეთული კინოს ისეთ

წარმომადგენლებს, რომლებზეც ადრე მხოლოდ თუ ოცნებობდნენ: რობერტ დე ნიროს, მარჩელო მასტროიანის, რობერტ რედფორდს, ჯეინ ფონდას და სხვ.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინტერვიუმ ცნობილ პოლონელ რეჟისორთან - ანჯეი ვაიდასთან, რადგან მან ისაუბრა არა მარტო პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების და კინოხელოვნების შესახებ, არამედ დიდი ინტერესი გამოამჟღავნა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისადმი - ანჯეი ვაიდა შეეხო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესს და ზუსტი, ამომწურავი შეფასებაც მისცა საქართველოს ისტორიის ძალიან დიდ მოვლენას - 9 აპრილის ტრაგედიას.... აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ ავტორიტეტული პოლონელი რეჟისორის შემოქმედება დიდი ხნის განმავლობაში თითქმის უცნობი იყო საბჭოთა, და მათ შორის, ქართველი მაყურებლისთვის.

მე-20 საუკუნის ბოლოს (2000 წ. ნოემბრიდან) სწორედ ტელევიზიით გაეცნო ქართული საზოგადოების უმრავლესობა ასევე დიდ პოლონელ რეჟისორის - ქშიშტოფ კიშლოვსკის - შემოქმედებას („რუსთავი 2“-ის ეთერში კინოგადაცემა „ფსიქოში“). აქ აჩვენეს ამ რეჟისორის „დეკალოგის“ სერიები: „ნუ შეიქმნი კერპს“; „არ დაიფიცო“; „გახსოვდეს დღე ღვთისა“; „პატივი ეცი შენს მშობლებს“; „არა კაც ჰკლა“...

ცნობილია, რომ კიშლოვსკი მორალისტ რეჟისორად არის მიჩნეული, გადაცემაში კომენტარები ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ ასპექტში წარიმართა... რაც ჩვენ ცოტა საკამათოდ მიგვაჩნია, მაგრამ, მთავარია, რომ ქართველი ტელემყურებელი ამ რეჟისორის შემოქმედებას გაეცნო, ხოლო ვინ რასთან და როგორ დააკავშირებდა ამ ფილმებს, ეს მათი გადასაწყვეტი იყო.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტელევიზია საბჭოთა პერიოდშიც კი, საინფორმაციო გადაცემების კულტურული ბლოკების მეშვეობით, სხვადასხვა ქვეყნის ფილმების დემონსტრირებითა და სპეციალური კინორუბრიკების დახმარებით, გარკვეულ წარმოდგენას მაინც უქმნიდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებასა და კულტურაზე. ე.წ. „გარდაქმნის წლებიდან“ კი ეს კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა და მრავალფეროვანი გახდა.



საკვანძო სიტყვები: პოლონეთი, კულტურა, სატელევიზიო ფილმი, კინორეჟისორი, ინტეგრაცია

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ელდარ იბერი, საქართველოს ტელევიზიის ისტორია, , თსუ, 2016
2. ნარგიზა კანკია, „აკრძალული თემები და კინოხელოვნება ტელევიზიაში“ (ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხები, III , 1998,
3. <https://forum.ge/?showtopic=33809903>